განკარგულება:**გ-47.47212143**
თარიღი:**02/08/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N34

მიღების თარიღი: 30.07.2021წ.

დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 35.20 კვ.მ. ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.007) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N2-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 35.20 კვ.მ. ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.007) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,სოფლის განვითარების სააგენტოსათვის“, იურიდიული პირის არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი